EARLY MEDIEVAL GEORGIAN BASILICAS WITH CRUCIFORM PIERS: A RECONSIDERATION OF F. W. DEICHMANN'S OPINIONS

ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს ბაზილიკები ჯვრული ბურჯებით: ფ.ვ. დაიხმანის მოსაზრებათა გადახედვა[1]

AKAKI SKHVITARIDZE
Ph.D. student in the doctoral program 'Architectural Sduties'
Faculty of Architecture, urban planning and design, Georgian Technical University
77, Kostava Str., Tbilisi, 0175, Georgia
Mob: +995555233246
Email: akaki.skhvitaridze@gmail.com
https://orcid.org/0009-0002-8325-3195

MAIA DZIDZIGURI
Ph.D. Professor at Georgian Technical University,
Faculty of architecture, urban planning and design
77, Kostava Str., Tbilisi, 0175, Georgia
Mob: +995551233064
Email: maia.dzidziguri@yahoo.com
https://orcid.org/0009-0004-6642-3601

Abstract

The present study examines one of the key issues of Early Christian architecture - genesis of concept of basilica with cruciform piers, in eastern Georgia. The novelty of the research lies in the fact that, in Georgian basilicas, the cruciform piers is interpreted not as an accidental architectural borrowing, but as a structurally distinct type that developed locally. The aim of the study is to reassess and revise the concept formulated by German art historian F. W. Deichmann in the second half of the twentieth century, based on contemporary archaeological and architectural data. The results demonstrate that the number of basilicas with cruciform piers in eastern Georgia reaches fourteen, which significantly exceeds the known parallels in different regions of middle east. At the same time, the earliest examples - the basilicas of Bolnisi and Dolochopi - should be dated to the beginning of the fifth century. The concluding analysis confirms that Bolnisi Sioni should still be regarded as the first firmly established example of a basilica with cruciform piers, despite new discoveries. Thus, the study substantially reinforces Deichmann's main positions, while correcting them in terms of chronological and regional specificity.

Keywords: Basilica; Pier; Late antique; cruciform;

[1] ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტი: PHDF-23-051 "ჯვრულბურჯიანი ბაზილიკები, სტრუქტურა და პროპორციები".

აკაკი სხვიტარიძე
დოქტორანტურის სტუდენტი, სადოქტორო პროგრამა 'არქიტექტურათმცოდნეობა'
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 77, 0175
მობ: +995555233246
იმეილი: akaki.skhvitaridze@gmail.com
https://orcid.org/0009-0002-8325-3195

მაია ძიძიგური
დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი
საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 77, 0175
მობ: +995551233064
იმეილი: maia.dzidziguri@yahoo.com
https://orcid.org/0009-0004-6642-3601

აბსტრაქტი

კვლევა მიმოიხილავს ადრექრისტიანული არქიტექტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს - ჯვრულბურჯიანი ბაზილიკების კონცეფციის გენეზისს აღმოსავლეთ საქართველოში. სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ქართულ ბაზილიკებში ჯვრული ბურჯი ინტერპრეტირდება არა როგორც შემთხვევითი არქიტექტურული ნასესხები ფორმა, არამედ როგორც ლოკალურად ჩამოყალიბებული სტრუქტურული ტიპი.

კვლევის მიზანს წარმოადგენს გერმანელი ხელოვნებათმცოდნის ფ.ვ. დაიხმანის მიერ XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული კონცეფციის გადამოწმება და მისი კორექტირება თანამედროვე არქეოლოგიური და არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე.

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ჯვრულბურჯიანი ბაზილიკების რაოდენობა თოთხმეტ ერთეულს აღწევს, რაც არსებითად აღემატება ახლო აღმოსავლეთის რეგიონების ცნობილ პარალელებს. ამავე დროს, ყველაზე ადრეული ნიმუშები - ბოლნისისა და დოლოჭოპის ბაზილიკები - V საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

ანალიზი ადასტურებს, რომ ბოლნისის სიონი ჯვრულბურჯიანი ბაზილიკის პირველდამკვიდრებულ ნიმუშად კვლავ ბოლნისის სიონი უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად ახალი აღმოჩენებისა. ამრიგად, კვლევა არსებითად ამყარებს დაიხმანის კონცეფციის ძირითად პოზიციებს, თუმცა აკორექტირებს მათ ქრონოლოგიური და რეგიონალური სპეციფიკის ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: ბაზილიკა; ბურჯი; გვიანანტიკური; ჯვრული.

შესავალი/Introduction

საქართველოს ადრექრისტიანული ბაზილიკების ჯვრულბურჯიანობის საკითხზე ყურადღება გაამახვილა გერმანელმა ხელოვნებათმცოდნემ ფ.ვ. დაიხმანმა (Дейхман, 1977) (Deichmann., 1978) (Deichmann., 1982). საკმაოდ ლაკონურ კვლევაში ავტორი განსახილველ ბაზილიკებს ორ კატეგორიად ყოფს. მისი ლოგიკის მიხედვით, კონსტრუქციული

მდგრადობის უზრუნველსაყოფად, გარკვეულ ეტაპზე, ახლო აღმოსავლეთში, მშენებლებმა სვეტებიანი ბაზილიკების ნაცვლად ბურჯებიანი ბაზილიკების მშენებლობა დაიწყეს. ეს ცვლილება გამოწვეული იყო ბურჯების აგების სიმარტივითა და კონსტრუქციული მდგრადობით. შესაბამისად, სვეტები ბურჯებით ჩანაცვლდა, თუმცა ბურჯთა წყვილები სვეტებივით მრავალრიცხოვანი იყო, ე.ი. მათ შორის არსებული მანძილი (აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა გვერდითი ნავების სიგანეს (ისე, როგორც სვეტებიან ბაზილიკებში).

მეორე კატეგორიას კი წარმოადგენს VI საუკუნის შუა ხანებში სირიაში ჩამოყალიბებული ბაზილიკური ტიპი, სადაც მხოლოდ 2 ან 3 წყვილი მასიური ბურჯი იყო განთავსებული, რაც დიდი მალის მქონე თაღებს ქმნიდა. ამ შემთხვევაში, თაღთა სიგრძე გვერდითი ნავების სიგანეს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. დაიხმანის აზრით, ბოლნისის სიონი პირველ ტიპს მიეკუთვნება (სვეტები ბურჯებითაა ჩანაცვლებული და თაღთა შორის მანძილი გვერდითი ნავების სიგანეზე ნაკლებია). ავტორს ქართული ბაზილიკებიდან ბოლნისის სიონთან ერთად განხილული აქვს ურბნისის სიონის გეგმარებითი თავისებურებებიც. სირიული პარალელების მოხმობისას ასახელებს რუსაფას სერგიუსის და ბახუსის ბაზილიკასა და ჰალაბია-ზენობიის პირველ ბაზილიკას. ხოლო ანტიკურობიდან მოჰყავს ცისტერნა მირაბილისისა და იულიუსის ბაზილიკის პარალელები. ძირითადი დასკვნები შემდეგია:

I - ბაზილიკა ჯვრული ბურჯებით, ქრისტიანულ პერიოდში, პირველად ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოში.

II - ჩამოყალიბების მიზეზი რეგიონში თაღოვანი არქიტექტურის პოპულარობაა - ოთხკუთხა (კვადრატული) ბურჯებიდან თაღის ოთხივე მხარეს გადასაყვანად შვერილების დამატება კონსტრუქციული მდგრადობისა და სიმარტივის თვალსაზრისით ოპტიმალური გადაწყვეტა იყო (ეს არ წარმოადგენდა ანტიკური რომაული ფორმების ერთგვარ „რენესანსს“ არამედ ლოკალურად, დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულ ფენომენს).

III - სომხეთში აგებული ბაზილიკები, სადაც ლათინური T-სებრი ფორმის ბურჯები გვხვდება, ადგილობრივ ტენდენციას წარმოადგენს, რომელიც სირიულ გავლენებამდე არსებობდა, ამდენად ჯვრული ბურჯი ქართული არქიტექტურის დამახასიათებელი ელემენტია, ხოლო T-სებრი ბურჯები სომხურის.

განხილული მოსაზრებები თითქმის ნახევარი საუკუნის წინ გამოითქვა. მრავალი ახალი მონაცემის ფონზე გამოიკვეთა მათი გადახედვის აქტუალობა.

მეთოდები/Methods

ნაშრომი ძირითადად ორიენტირებულია ფ.ვ. დაიხმანის მიერ გამოთქმული მოსაზრებების ახალი მონაცემების ფონზე გადახედვისთვის. **ლიტერატურული წყაროების ანალიზი** - სხვადასხვა ავტორის მიერ ძეგლთა ქრონოლოგიისა გარშემო გამოთქმულ მოსაზრებათა შეჯერება. **შედარებითი ანალიზი** - გაანალიზებულია ლიტერატურაში დაცული ცნობები და ექსპედიციებისას მოპოვებული მონაცემები (ფოტომასალა, ანაზომები), რაც გამოყენებულია ძეგლთა ერთმანეთთან შედარებითი ანალიზისთვის, უპირატესად ჯვრული ბურჯის ჩამოყალიბების შესაძლო მიზეზების გამოსარკვევად და ასევე დამატებითი არგუმენტაციის შემოსატანად ქრონოლოგიური ზღვრებისთვის. ასევე გამოყენებულია გაბარიტთა **პროპორციული ანალიზის** მეთოდი.

დისკუსია და შედეგები

შესაბამის ლიტერატურულ წყაროებში (Butler, 1929) (Sarre., 1920) (Krautheimer, 1965) (Σωτηρίου Γ.Α., 1931), (Gunnis R., 1936) (Papacostas T.C., 1995) (Gazgazi, 2016) (Hoddinott, 1963) (Hoddinott, 1975) მესოპოტამიის, ბიზანტიის ადრეული ბაზილიკების უმეტესობაში ჯვრული ბურჯები ძირითადად სვეტებიან ბაზილიკებში გვხვდება, განსაკუთრებით უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, სადაც, როგორც წესი, მხოლოდ ერთი წყვილია წარმოდგენილი.

ჯვრულბურჯიანი ბაზილიკები (ე.ი. სვეტების ნაცვლად აქვთ ბურჯები) კი შემდგომია: რუსაფას წმინდა სერგიუსისა და ბახუსის ბაზილიკა (Butler, 1929), ილ-ტუბას ეკლესია (Butler, 1929), ჰალაბია-ზენობიის პირველი ბაზილიკა (Butler, 1929) (Sarre., 1920). წმ სოფიას ტაძარი კუნძულ (Krautheimer, 1965, გვ. 183-184), აფენდრიკას სამნავიანი ბაზილიკა (Σωτηρίου Γ.Α., 1931), პირიჩ ტეფეს ბაზილიკა (Gazgazi, 2016; Hoddinott, 1975, გვ. 328), სვინარიცას ბაზილიკის ნანგრევები სერბეთში (Hoddinott, 1963).

სომხეთის ბაზილიკებიდან ჯვრული ბურჯი დასტურდება აღცკის ეკლესიასა და ერერუიქის ბაზილიკაში (Donabédian, 2015). ჯვრული ბურჯებით ვრცელდება დვინის ადრექრისტიანული ბაზილიკის გეგმაც, თუმცა იქ ბურჯის ფორმის რეკონსტრუქცია თეორიულია, რამდენადაც ბურჯის პირვანდელი ნაშთები ფიზიკურად არ გამოვლენილა (Thierry, 1989).

ამრიგად დაიხმანის მიერ გამოთქმული მოსაზრების შემდგომ უცხოური პარალელების რიცხვი დიდად არ გაზრდილა. არც ქრონოლოგიური ზღვრებია შეცვლილი - ავტორთა მიერ ყველა ბაზილიკა VI საუკუნით ან შემდგომი პერიოდითაა დათარიღებული.

ბოლო ათწლეულებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად კი მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო საქართველოს ადრექრისტიანულ ბაზილიკებს. ბოლნისის სიონისა და ურბნისის ბაზილიკების გარდა შესაბამის ლიტერატურაში მოიძიება კიდევ 12 ბაზილიკა რომლებიც სხვადასხვა არქიტექტურული და სტილისტური ნიშნის საფუძველზე გვიანანტიკურ/ადრეული შუასაუკუნეების პერიოდს შეიძლება მივაკუთვნოთ ესენია: სვეტიცხოვლის ბაზილიკა, დოლოჭოპის ბაზილიკა, ნასტაკისი, ნატკორა, ნუნისი, ზემო ალვანი, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი სამნავიანი ბაზილიკა, სამთავისის ბაზილიკა, პანტიანის ჯვარიპატიოსანი, ზღუდერი, რკონი, ვაშლობის ბაზილიკა.[2]

ამ ბაზილიკებიდან ყველაზე ადრეულებს V საუკუნის დამდეგით ათარიღებენ, ამ მონაცემების გათვალისწინებით ქრისტიანულ პერიოდში ყველაზე ადრეული ჯვრულბურჯიანი ბაზილიკები საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება. ამასთანავე ბურჯთა წყვილების რაოდენობა ხუთამდე აღწევს (ბოლნისი, დოლოჭოპი).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ თოთხმეტი ბაზილიკიდან 13 აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. დასავლეთ საქართველოში არის მხოლოდ ნუნისი, თუმცა ის ისტორიულად და გეოგრაფიულად შიდა ქართლის კულტურულ არეალში ექცევა. სხვა მხრივ დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი ადრეული ბაზილიკებიდან არცერთი არ არის ჯვრულბურჯიანი. ამრიგად თოთხმეტი ჯვრულბურჯიანი ბაზილიკიდან 11 ქართლის კულტურულ-ისტორიულ არეალშია (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მთიულეთი), ხოლო 3 კახეთის. ამასთანავე იკვეთება კიდევ ერთი თავისებურება: ქართლის ადრექრისტიანული ბაზილიკებიდან უმეტესობა ჯვრულბურჯიანია. ასევე შეიძლება ითქვას - ქართლის ადრექრისტიანული ბაზილიკებიდან ყველა ჯვრულბურჯიანია, რომლებიც ბურჯებიანი ბაზილიკაა და

[2] ჯვრული ბურჯები გვხვდება განვითარებული შუასაუკუნეების რამდენიმე ბაზილიკაშიც, როგორებიცაა: ოთხთას ეკლესია (Giviashvili, 2020), პარხალი (Giviashvili, 2020), ზედა თმოგვი.

ბურჯის პირვანდელი ფორმა დანამდვილებით ვიცით (იხ. სურათი 1.). ამრიგად ჯვრული ბურჯები საქართველოს ადრექრისტიანული ბაზილიკებისთვის მართლაც მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს, რითაც დაიხმანის მოსაზრებათა ერთი ასპექტი გამყარებულია.

ჯვრულბურჯიანი ბაზილიკის კონცეფციის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია ბაზილიკების **ქრონოლოგიის საკითხებში** გარკვევა. **ვაშლობის ბაზილიკას** (სურ. 3.1.)მისი აღმომჩენი არქეოლოგები სტილისტური და კონსტრუქციული თავისებურებების განხილვის საფუძველზე IX-X საუკუნეების მიჯნით ათარიღებენ (დიღმელაშვილი ქ., 2025). **პანტიანის ჯვარიპატიოსნის** (სურ. 3.12.) შესახებ ცნობა მოიპოვება მხოლოდ საქართველოს ძეგლთა აღწერილობაში (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა : წიგნი V, 1990), სადაც აღნიშნულია, რომ ბაზილიკა მიეკუთვნება ადრეულ შუასაუკუნეებს, კერძოდ, გარდამავალ პერიოდს. **ზემო ალვანის** (სურ. 3.11.) ბაზილიკის დათარიღებისთვის გ.ჩუბინაშვილი VIII-IX საუკუნეებს ვარაუდობს ორი სახის საშენი მასალის - აგურისა და რიყის ქვის ერთდროული გამოყენების მიზეზით (Чубинашвили, 1959). ბაზილიკის ასეთი დათარიღება გაზიარებულია ნ. ჯაბუას მიერ (ჯაბუა, 2009). **რკონის** ბაზიილიკის (სურ. 3.13.) დათარიღებისას გიორგი გ. ჩუბინაშვილი მათარიღებელ ელემენტებად აღმოსავლეთ ფასადზე არსებულ სამკუთხა ნიშებს ასახელებს, რომლებიც პირველად საქართველოს ტერიტორიაზე წრომის ტაძარზე ჩნდება. ამ ნიშნის საფუძველზე გ. ჩუბინაშვილი მიიჩნევს, რომ რკონის ბაზილიკა წრომის ტაძრის შემდგომაა აგებული VII საუკუნის მეორე მეოთხედში. ასევე მრავალი არქიტექტურული დეტალი (სვეტების იმპოსტები, ფასადებზე კბილანა ლავგარდანი) ტაძრის თარიღს მეტი დამაჯერებლობით VII საუკუნით განსაზღვრავს.

ნასტაკისის ბაზილიკის (სურ. 3.6.) ნაშთებს ალ. ბოხოჩაძე V-VI საუკუნეებით ათარიღებს (ბოხოჩაძე, 1983), იმავე მოსაზრებას იზიარებს ნათელა ჯაბუაც (ჯაბუა, 2009). ბაზილიკა ასევე განხილული აქვს გურამ ყიფიანს, რომელიც გამოთქვამს ალტერნატიულ მოსაზრებას და მის მშენებლობას III საუკუნეს მიაკუთვნებს (ყიფიანი, 2000). **ნატკორას ბაზილიკა** (სურ. 3.5.) მოკლედ აქვს განხილული გიორგი ჩუბინაშვილს (Чубинашвили, 1959). ძეგლი გაიწმინდა და არქეოლოგიურად იქნა შესწავლილი 2002 წელს, ვახტანგ გაგნიძის მიერ, რომელიც მშენებლობის თარიღად VI-VII სს-ებს ვარაუდობს (გაგნიძე, 2005). **ნუნისის ბაზილიკას** (სურ. 3.7.) არქიტექტურული კომპოზიციისა და ქვის წყობის სტილისტური ანალიზის საფუძველზე, რუსუდან მეფისაშვილი VI-VII საუკუნეებით ათარიღებს. ნათელა ჯაბუა თავის მონოგრაფიაში უშუალოდ არ განიხილავს ტაძრის თარიღს, თუმცა მას VI საუკუნის ძეგლთა ჯგუფში ახსენებს (ჯაბუა, 2009). **ზღუდერის** ბაზილიკის (სურ. 3.9.) ფრაგმენტებს დეტალურად განიხილავს ლევან რჩეულიშვილი და ადგენს, რომ ტაძარი ქვის წყობისა და დეკორატიული ელემენტების ანალიზის საფუძველზე V-VII საუკუნეებს მიეკუთვნება (რჩეულიშვილი, 1943). **სამთავისის** ბაზილიკის (სურ. 3.8.) შესახებ ცნობები მოგვეპოვება სამთავისის კომპლექსური ექსპედიციის 2009 წლის სამეცნიერო ანგარიშში, ტაძრის მშენებლობის თარიღი დეტალურად განხილული არ არის. ზოგადად მას აიგივებენ ასურელი მამის - ისიდორე სამთავნელის მოღვაწეობასთან, რაც ბაზილიკას VI ს-ის პირველ ნახევარს მიაკუთვნებს (გაგოშიძე, 2009).

უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ბაზილიკის (სურ. 3.10.) შესახებ მკვლევარები დავით ხახუტაიშვილი (ხახუტაიშვილი, 1989), თამაზ სანიკიძე (სანიკიძე, 1987), ლევან ხიმშიაშვილი (Химшиашвили, 1988), გურამ ყიფიანი (ყიფიანი, 1990), იულონ გაგოშიძე (Гагошидзе, 1983), მიიჩნევენ, რომ ის თავდაპირველად წარმართულ ან ზოროასტრიულ ტაძარს წარმოადგენდა და ქრისტიანულ ხანაში გადაკეთდა ქრისტიანულ ბაზილიკად.

ურბნისის ბაზილიკას (სურ. 3.3.) დეტალურად განიხილავს პარმენ ზაქარაია ურბნისის ნაქალაქარისადმი მიძღვნილ ვრცელ მონოგრაფიაში (ზაქარაია, 1965, 86-127). კონსტრუქციულ ელემენტების, არქიტექტურულ დეტალების, ქვის წყობისა და წარწერების განხილვის და სხვა ძეგლებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე პ. ზაქარაია ურბნისის ბაზილიკის აშენების პერიოდს ბოლნისის ტაძრის შემდგომი დროით ათარიღებს. ცხადია, ბოლნისის ტაძრის მშენებლობის თარიღად 478-493 წლებს მიიჩნევს, ამიტომაც ურბნისის ტაძრის მშენებლობას VI საუკუნის დამდეგით განსაზღვრავს.

სვეტიცხოვლის ბაზილიკა (სურ. 3.4.) არქეოლოგიური კვლევების შედეგადაა გამოვლენილი ვახტანგ ცინცაძის მიერ (Цинцадзе, 1991). ტაძრის არქიტექტურული თავისებურებები, მათ შორის ჯვრული ბურჯები, შვერილი აფსიდი და დეკორატიული მოტივები, რომლებიც ბოლნისის სიონის დეკორთან პოულობენ პარალელებს, ნათლად მიუთითებენ გვიანანტიკური/ადრეული შუასაუკუნეების პერიოდში მის აგებაზე. ავტორი ტაძარს ავტომატურად აიგივებს ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ქვემო ეკლესიასთან, „სიონი დიდთან“, რომლის მშენებლობაც ვახტანგ გორგასალს მიეწერება.

ბოლნისის სიონის (სურ. 3.1.) შესახებ არსებული ლიტერატურა მრავალრიცხოვანია. თავდაპირველად გიორგი ჩუბინაშვილი ბოლნისის ტაძრის მშენებლობის პერიოდად VI დასაწყისს განიხილავდა (ჩუბინაშვილი, 1936), თუმცა, 1938 წელს აღმოჩენილმა წარწერამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტაძრის თარიღის განსაზღვრისთვის (მუსხელიშვილი, 1938). 1940 წლის მონოგრაფიაში გ. ჩუბინაშვილი ტაძრის მშენებლობის თარიღად 478-493 წლებს ასახელებს, იზიარებს რა წარწერის აკ.შანიძისეულ წაკითხვას (Чубинашвили, 1940).

მომავალი დისკუსია და კვლევები ძირითადად სამშენებლო წარწერის წაკითხვისა და მისი ინტერპრეტაციის გარშემო წარიმართა. კვლევების მიხედვით ტაძრის მშენებლობის ქვედა ზღვარი IV საუკუნის შუა წლებია - (პატარიძე, 1984), (მჭედლიშვილი, 1984), (კაკაბაძე, 1984), (კაკაბაძე, 1985), (დანელია კ., 1997), (Fähnrich, 2009), (Gippert, 2011), ხოლო ზედა V საუკუნის მიწურული (შანიძე, 1975), (მაჭავარიანი, 1985), (სილოგავა, 1994) ზოგიერთი მკვლევარი კი V საუკუნის შუა წლებით ათარიღებს (ყიფიანი, 2022) (Gippert, 2011).

კვლევათა ასეთი მრავალფეროვნების მიზეზი ისაა, რომ წარწერა დამაჯერებლად ვერ იკითხება (პატარიძე, 1984) (სილოგავა, 1994) (ყიფიანი, 2022). წარწერის მდგომარეობიდან გამომიდნარე სრულებით ვერ ხერხდება დადგინდეს ტაძართან დაკავშირებულ რა მოვლენაზეა საუბარი წარწერაში (მშენებლობის დაწყება? ნგრევა? რეკონსტრუქცია?). ასევე არსებობს წარწერაში მოხსენიებული პეროზის ვინაობის შესახებ ორი ვერსია, ერთნი მას ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ მირიან მეფის სიძე ფეროზთან აიგივებენ (სარგის და საურმაგ კაკაბაძე, რ.პატარიძე, ბ.მჭედლიშვილი, ჰ.ფენჰრიჰი, ი.გიპერტი) ხოლო მეორენი ირანის შახ პეროზთან. ყველა შესაძლო ინტერპრეტაცია წმინდად ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებს შესაბამისად ყველა დასაშვებია.

წარწერის სხვადასხვა თეორიული რეკონსტრუქციებიდან შეგვიძლია გამოვყოთ იმ ავტორთა რეკონსტრუქციები, რომლებიც ითვალისწინებენ წარწერის მთლიან მოცულობას, მასში არსებული გრაფემების სავარაუდო რაოდენობას და ადგილზე შემორჩენილ იდენტიფიცირებად გრაფემებთან რეკონსტრუებული სიტყვების თანხვედრას. ასეთია სარგის კაკაბაძის, რამაზ პატარიძის, ბაადურ მჭედლიშვილის, ვალერი სილოგავასა და იოსტ გიპერტის წაკითხვები. ამათგან ვ.სილოგავას გარდა ყველა მათგანი ტაძრის მშენებლობის გაცილებით ადრეულ თარიღზე საუბრობს ვიდრე V ს-ის მიწურულია.

2022 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში პროფ. გ. ყიფიანის მიერ მიერ წარწერის რეკონსტრუქციაც ცალსახად თეორიული ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, გ. ყიფიანი ტაძრის გეგმის, კედლებისა და არქიტექტურული ელემენტების შესწავლის საფუძველზე, ასკვნის, რომ ტაძარი სასანურ ეპოქაში იქნა რეკონსტრუირებული. ირანის პოლიტიკური ვითარების ანალიზის შედეგად კი აღნიშნავს, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში (ისევე,

როგორც ფეროზ მირიანის სიძის მმართველობის პერიოდში) ქვემო ქართლში ასეთი მასშტაბის ბაზილიკის მშენებლობა ნაკლებად სავარაუდოა. საბოლოოდ, იგი დაასკვნის, რომ წარწერაში ტაძრის დანგრევასა და შემდგომ მის რეკონსტრუქციაზე უნდა იყოს საუბარი.

გ. ყიფიანი ასევე განიხილავს ტაძრის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვა წარწერებს, ხოლო „ფარნ... და აზარუხტის" წარწერის წაკითხვის სრულიად ახალ ვერსიას გვთავაზობს - მიიჩნევს, რომ ბოლნისის ფარნ... და აზარუხტის წარწერაში სავსებით დასაშვებია აღდგეს ფორმა „ფარნსმან", რომელიც შესაძლებელია გაიგივდეს ქართლის მეფე ფარსმანთან. ეს კი თანხვედრაში მოდის ისტორიულ წყაროებთან, კერძოდ, ლეონტი მროველის ცნობასთან, რომლის მიხედვითაც ფარსმან მეფე ბოლნისში ტაძრის მშენებლად არის დასახელებული. გ. ყიფიანი საბოლოოდ ასკვნის, რომ ტაძრის მშენებლობა, სავარაუდოდ, V საუკუნის 20-იან წლებში უნდა დასრულებულიყო (ყიფიანი, 2022).

რაც შეეხება დეკორატიულ ელემენტებს, გ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ ის დეკორატიული ელემენტები, რომლებიც V საუკუნის მიწურულზე ადრეული პერიოდით ტაძრის დათარიღებას თითქოს ხელს უშლიდა, ეკუთვნის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს არსებულ სანათლავს, რომელიც ყველა ნიშნით V საუკუნის მიწურულს, სასანურსავე პერიოდში, დავით ეპისკოპოსის ინიციატივით წარმოებული გადაკეთების დროსაა ჩაშენებული სამხრეთ გალერეის აღმოსავლეთ ნაწილში. აქვე აღსანიშნავია ბაადურ მჭედლიშვილისა (მჭედლიშვილი, 1984) და საურმაგ კაკაბაძის დაკვირვებები (კაკაბაძე, 1984).

მთავარი მიზეზი, რის გამოც გ. ჩუბინაშვილი უფრო მეტად VI საუკუნის დამდეგისკენ იხრებოდა ბოლნისის ტაძრის დათარიღებისას, იყო მის მიერ ჩამოყალიბებული თეორია, რომლის მიხედვითაც თავდაპირველად საქართველოში მხოლოდ მცირე ზომის გახსნილი ხასიათის მქონე ბაზილიკისმაგვარი კაპელები შენდებოდა, სადაც მხოლოდ სამღვდელოება შედიოდა. თანდათანობით კი დასავლეთიდან, რომის იმპერიიდან შემოსული ბაზილიკის კონცეფცია ათვისებული იქნა საქართველოში. V საუკუნის მიწურულისკენ დაიწყეს დიდი ზომის ბაზილიკების მშენებლობა (ჩუბინაშვილი, 1936).

უკანასკნელმა აღმოჩენებმა ეს თეორია ეჭვქვეშ დააყენა მაგალითად, არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე დანამდვილებით დადასტურდა, რომ ნეკრესის მონასტრის გახსნილი ხასიათის მქონე კაპელა (რომელსაც გ.ჩუბინაშვილი IV საუკუნის ბაზილიკის ზეპირი აღწერილობის საფუძველზე აშენებულ ეკლესიად მიიჩნევდა) შეუძლებელია VI საუკუნის შუა წლებზე ადრეული იყოს (ბახტაძე ნ., 2020). ასევე ღსანიშნავია სამთავროს ბაზილიკა, რომელიც დიდი დამაჯერებლობით თარიღდება IV საუკუნის პირველი ნახევრის შუა პერიოდით იხილეთ, გ.ყიფიანი, სამთავროს მეფე მირიანის ბაზილიკა 2009.

2012 წელს კი ნაქალაქარ ნეკრესის ტერიტორიაზე გამოვლინდა **დოლოჭოპის დიდი ბაზილიკა** (სურ. 3.2.), რომელიც თავდაპირველად გეგმარებითი და იქ აღმოჩენილი კერამიკული მასალისა და არტეფაქტების სტილისტური შედარებითი ანალიზის საფუძველზე დათარიღდა, ნ. ბახტაძის მიერ, V საუკუნის პირველი ნახევრით. ასეთ დათარიღებას არ დაეთანხმა მკვლევარი ნ. არონიშიძე. მისი აზრით ბოლნისის ტაძარი, მრავალი ნიშნის საფუძველზე დოლოჭოპის ბაზილიკაზე ადრეული უნდა იყოს. ნ. არონიშიძე ბოლნისის ტაძრის ზუსტ თარიღად 478-493 წლებს მიიჩნევს, დოლოჭოპის ბაზილიკას VI საუკუნის შუა წლებით ათარიღებს (არონიშიძე, 2017). 2017 წელს იმავე ლაბორატორიაში განხორციელებული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ დოლოჭოპის ბაზილიკის სამშენებლო ფენიდან აღებული ორგანული ნაშთები ჩვ. წ. 401 წლით თარიღდება (SUERC-76888). რაც შეეხება დარბაზულ ეკლესიად გარდაქმნილი დოლოჭოპის ბაზილიკის ფენას, მისგან აღებული ნიმუშების ანალიზმა ეს მოვლენა VI საუკუნის შუა ხანებს მიაკუთვნა (SUERC-76886; SUERC-76887). შესაბამისად, რადიოკარბონული დათარიღების მონაცემებმა პროფესორ ნ. ბახტაძის თარიღს კიდევ

უფრო მეტი სანდოობა შესძინა. დათარიღების ასეთ ვერსიას სრულად იზიარებს, ინგლისელი არქეოლოგი ემა ლუზლი ლემინგი (Leeming, 2018).

აღსანიშნავია, რომ **დოლოჭოპის ბაზილიკა საქართველოს ადრექრისტიანული ხანის ძეგლებს შორის, არქეოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილად და თანამედროვე მეთოდებით შესწავლილი ნაგებობაა**, ამრიგად მისი დათარიღება მეთოდოლოგიურად ამჟამად ყველაზე სანდო და მყარია. ასევე ეჭვს არ უნდა იწვევდეს სვეტიცხოვლის ბაზილიკის მშენებლობის თარიღი. ყველაზე დიდი (საუკუნენახევრიანი) დიაპაზონი ბოლნისის სიონს აქვს, თუმცა უკანასკნელი მულტიდისციპლინარული კვლევების საფუძველზე მისი მშენებლობის V საუკუნის დამდეგით დათარიღების სანდოობა რამდენადმე მყარდება (იხ. სურათი 2). ამრიგად დოლოჭოპის და ბოლნისის სიონის ბაზილიკების შემთხვევაში მივიღეთ სურათი, რომ **ისინი შესაძლოა სულაც ერთი პერიოდით დათარიღებულნი იყვნენ.**[3]

დოლოჭოპის ბაზილიკაში, შუა და გვერდითი ნავები ისევე, როგორც გალერეა-მინაშენები, თავდაპირველად ხის კონსტრუქციით იყო გადახურული. ამის დასტურია ჩრდილოეთ გალერეის ნაწილში, ჩრდილოეთ გრძივ კედელზე გარე ე.ი. გალერეის მხარეს შემორჩენილი ღრმულები, რომლებიც, ცალსახად, ხის კოჭების ჩამონტაჟებისთვის იყო განკუთვნილი. ნ. ბახტაძის კვლევის მიხედვით, აღმოჩენილი თაღების ფრაგმენტების გეომეტრიული ანალიზის საფუძველზე ჩატარებულმა რეკონსტრუქციამ აჩვენა, რომ თაღის აღდგენილი ზომები თავსებადია მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთით განლაგებულ ბურჯთა შორის დაშორების მალებთან (ბახტაძე ნ., 2020). ამასთან, არ გამოვლინდა გრძივ კედლებზე არსებული კრონშტეინების რაიმე ნაშთი, არც კედლებს აქვს ბურჯებისადმი შესატყვისი პილასტრები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ბაზილიკაში თაღნარი მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთ მიმართულებით გადადიოდა.

მიუხედავად ზემოთხსენებულისა, დოლოჭოპის ბურჯებს ჩამოყალიბებული ჯვრისებრი ფორმა აქვს და თან დაახლოებით ისეთივე პროპორციებისა, როგორიც ბოლნისის ბურჯებს. აქედან გამომდინარე, თუ დაიხმანი ჯვრული ბურჯის ჩამოყალიბების ძირითად მიზეზად თაღის ოთხივე მიმართულებით გადაყვანის სიმარტივეს ასახელებს, ამ შემთხვევაში ჩნდება ალტერნატიული მოსაზრება: **ჯვრული ბურჯის ჩამოყალიბების პირვანდელი მიზეზი შუა ნავის გრძივი კედლების სტაბილურობის გაზრდა ხომ არ იყო?** ნიშანდობლივია, რომ სირიისა და შუამდინარეთის ადრექრისტიანული არქიტექტურის მკვლევარები T-სებრი და ჯვრული ბურჯების ჩამოყალიბებას სწორედ ამ მიზნით ხსნიან.

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაგებად საჭიროა: 1. შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვავლინოთ თუ დოლოჭოპის ბაზილიკასა და ბოლნისის სიონს შორის რომელია შედარებით ადრეული, და რა ნიშნების საფუძველზე; 2. დავაკვირდეთ ტაძრების ნაშთებს რათა გავერკვეთ ჯვრულბურჯიან ბაზილიკათა პირვანდელ აგებულებასთან დაკავშირებით, რომელიც როგორც ქრონოლოგიაში დამატებითი არგუმენტაციის მომცემი იქნება, ასევე კონცეფციის ანალიზისთვისაც.

დოლოჭოპის ბაზილიკის თეორიულ რეკონსტრუქციაში ნ.ბახტაძეს შუა ნავი გვერდითებზე მეტად აზიდულად აქვს გამოსახული, ე.ი. ბაზილიკას მინაშენებიანად გარეგნულად აქვს ხუთნავიანი ბაზილიკის სილუეტი. თუ ეს მართლაც ასე იყო, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ბურჯებისთვის ჩრდილოეთით და სამხრეთით შვერილების დამატება განამტკიცებდა სტრუქტურის სტაბილურობას. ასევე, ასეთი შვერილები ხის კოჭების ჩამოსადებ ფუნქციასაც იტვირთავდა.

[3] თუნდაც უფლისციხის ჯვრული ბურჯები ყოფილიყო ფორმის ჩამოყალიბების წინაპირობა მაინც ჯვრულბურჯიანი ბაზილიკის კონცეფცია ყველაზე სრულყოფილად ბოლნისის სიონსა და დოლოჭოპის ბაზილიკებშია გამოვლენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთხსენებული სახით ბაზილიკის რეკონსტრუქცია (ბახტაძე, 2020) რამდენადმე თეორიულია, თუმცა ყველაზე ლოგიკური. ამჟამად ბოლნისის სიონის სამი ნავი ორქანობა გადახურვის ქვეშაა მოქცეული თუმცა რ. გვერდწითელს მიაჩნდა, რომ თავდაპირველად ეს ასე არ იყო. ავტორი ბოლნისის სიონის შუა ნავის რეკონსტრუქციას მკვეთრად აზიდული სახით წარმოგვიდგენს (გვერდწითელი, 2017). ამგვარ რეკონსტრუქციას ეთანხმება გ. ყიფიანი და საკუთარ ვერსიას გვთავაზობს, რომელშიც რ. გვერდწითელის რეკონსტრუქციის ნახევართაღების ნაცვლად ნახევარწრიულ და ოდნავ ნალისებურ თაღებს ვარაუდობს (ყიფიანი, 2022).

მომდევნო პერიოდის, სიმაღლეში სრულად შემორჩენილი ბაზილიკების ნაშთებიც გვავარაუდებინებს, რომ ისინი ძველ ტრადიციას უნდა მიჰყვებოდნენ. მაგალითად ვაზისუბნის ბაზილიკა (ჩუბინაშვილი, 1959) ექვსი ქანობითაა გადახურული (სურ. 4.). ასეთივეა ვაჩნაძიანის ბაზილიკის (სურ. 5.) შემორჩენილი აღმოსავლეთი ნაწილი (ნ. არონიშიძემ ბაზილიკა გადაათარიღა V საუკუნის მეორე ნახევრით, იხ. არონიშიძე, 2015). არსებობს რამდენიმე სხვა ბაზილიკაც, რომელთა დათარიღება V-VI სს-ების მიჯნით შეიძლება, სადაც უფრო დამაჯერებლად შეიძლება დავასკვნათ, რომ ოთხქანობა, რომელსაც გარეგნულად მკვეთრად აზიდული შუა ნავი ახასიათებდა, გადახურვის ქვეშ იყო მოქცეული. ასეთ ბაზილიკებს შორის აღსანიშნავია თბილისის ანჩისხატი (გვერდწითელი, 2017), კაწარეთის სამება (ჩუბინაშვილი, 1959) და, შესაძლოა, თელავის ღვთაებაც.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია, თუ ჰორიზონტალურ კვეთში ჯვრული ბურჯი როგორ ვითარდებოდა სიმაღლეში. არსებობს ორი შესაძლო ვარიანტი: 1. შუა ნავისკენ შვერილები ცდებოდნენ აღმოსავლეთ-დასავლეთი თაღნარის სიმაღლეს; 2. ჯვრული ბურჯი მოცულობაში ვითარდებოდა ისე, რომ ერთი მიმართულებით - აღმოსავლეთ-დასავლეთით იქმნებოდა ორმაგი თაღნარი. აქვე უნდა ითქვას, რომ მეორე ფორმა ფაქტობრივად მხოლოდ რკონის ბაზილიკაში ფიქსირდება (VII ს-ის პირველი ნახევარი).

ბურჯების შუა ნავისკენ შვერილი პილასტრები ნამდვილად ცდებოდა თაღების სიმაღლეს **ურბნისის ბაზილიკაში (სურ. 6.).** ასევეა **ზღუდერში** - ლ. რჩეულიშვილის მიერ წარმოდგენილი სქემის მიხედვით - გარკვეულ სიმაღლეზე შუა ნავისკენ შვერილი პილასტრებიც ყოფილა შენარჩუნებული და სრულიად აშკარაა, რომ ისინი თაღებს სცდებოდა, რომლებიც ასევე პირვანდელი იყო (რჩეულიშვილი, 1943). ასევეა მოწყობილი ვაზისუბნის დასახელებულ ბაზილიკაში T-სებრი ბურჯების შუა ნავისკენ შვერილები. თუ მაინც დავუშვებთ, რომ დოლოჭოპის ბაზილიკის ბურჯები სიმაღლეში ორმაგ თაღს ქმნიდა, თავად ჯვრული ბურჯის არსებობის ლოგიკა ხდება გაუგებარი. ბურჯის სიმაღლეში ასეთი განვითარება გამოიწვევდა შუა ნავის კედლების სიმაღლეში დამძიმებას. ამასთანავე გვერდითი ნავების გადამხურავი კონსტრუქციის კოჭების ჩასამონტაჟებლად თაღნარს ზემოთ კედელზე იქნებოდა საჭირო დამატებითი ღრმულების გამოჭრა. ამ მონაცემების საფუძველზე გვიჩნდება შესაძლებლობა ვთქვათ, რომ ადრეულ ბაზილიკებში, მათ შორის დოლოჭოპში, ბურჯი პირველი სახით ვითარდებოდა - ჩრდილო სამხრეთ შვერილები ცდებოდა თაღებს და გრძელდებოდა შუა ნავის კედლებზე სიმაღლეში.

ბოლნისის სიონში გვერდითი გრძივი კედლებიდან ბურჯებისადმი შესატყვისი შვერილები დაახლოებით ისეთივე მანძილით არიან დაშორებული ბურჯების შვერილებს, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთი თაღნარის დაშორებებია. ეს ფაქტი ლოგიკურად გვაფიქრებინებს, რომ ასეთი დაშორება მიზანმიმართულად არის განსაზღვრული, რათა თაღებით დაკავშირებულიყო და დამატებით გაემაგრებინა ბურჯები. მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთ გალერეაში შემორჩენილი შვერილების თავზე, იმპოსტების ზემოთ, თაღთა ქუსლები აშკარად იკვეთება, რაც ცალსახად ადასტურებს, რომ გალერეებში თაღები არსებობდა.

თუ ჯვრული ბურჯი პირველად დოლოჭოპის ბაზილიკაში გაჩნდა სტაბილურობის მიზეზით და ამავე დროს ძელების ჩამოსადებს წარმოადგენდა, გაუგებარია, რატომ არ აქვს შვერილები კედლებს (თუნდაც კედლების სტაბილურობის და გვერდით ნავებში ძელების ჩამოსადების ფუნქციის მქონე). ასევე დოლოჭოპის შემთხვევაში ბურჯის ჯვრული ფორმა მიღწეულია სამშენებლო მასალის (რიყის ქვა) მიზანმიმართული მორგებით, რათა მიღებული კუთხეები შეძლებისდაგვარად სწორი ყოფილიყო. რთულია ვივარაუდოთ, რომ ასეთ სამშენებლო მასალას შეეძლო ეკარნახა არქიტექტორისთვის ოთხკუთხა ბურჯებისგან შედარებით გართულებული კვეთის მქონე ბურჯების აგება.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში ჯვრული ბურჯები არ გავრცელებულა. ასევე უნდა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ კახეთში სამი ჯვრულბურჯიანი ბაზილიკა გვხვდება, ხოლო ქართლის ისტორიულ კულტურულ არეალში თერთმეტი. ამდენად ჯვრული ბურჯების წარმოშობა უნდა ვივარაუდოთ იმ რეგიონში, სადაც თლილი ქვით მშენებლობა უფრო მეტად იყო გავრცელებული და სადაც რაოდენობრივად მეტი ჯვრულბურჯიანი ბაზილიკა გვხვდება, ასეთი კი - ქართლია.

ბოლნისის სიონში ჯვრული ბურჯების პირვანდელობას, იმავე თაღების ოთხი მხრივ გადაყვანისთვის კედლებიდან შვერილების არსებობას, ზემოთ გამოთქმული დაკვირვებებიც ამყარებენ. დოლოჭოპის ბაზილიკაში კი არ შეინიშნება არც კედლებიდან შვერილი პილასტრები, არც გეგმის გააზრების ასეთი სქემა, არც ბურჯთა შვერილებს შორის შემოკავებული სწორკუთხედების თანაბრობა.

როგორც ნ. ბახტაძე აღნიშნავს ნაქალაქარ ნეკრესში დოლოჭოპის წინამორბედი - ჭაბუკაურის ბაზილიკა მიწისძვრამ დაანგრია. თუ იმჟამად მოქმედ ქალაქ ნეკრესში მოღვაწე არქიტექტორებისთვის ამოსავალი წერტილი იყო ჭაბუკაურის ბაზილიკის ნგრევის მიზეზის გამო ახალი ბაზილიკის სტრუქტურის გამყარება სეისმური თვალსაზრისით, მაშინ ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ისინი გაითვალისწინებდნენ ჭაბუკაურის ბაზილიკის პროპორციებს.

ჭაბუკაურში ოთხკუთხა (თითქმის კვადრატული) ბურჯების სიგანე ისე შეეფარდება სრულ შიდა სიგანეს, როგორც 1:12. **დოლოჭოპის ბაზილიკაში** ჯვრული ბურჯის აღმოსავლეთ დასავლეთი შვერილების სიგანე ისე შეეფარდება სრულ შიდა სიგანეს, როგორც 1:18, ხოლო ბურჯების სრული სიგანე (ე.ი. ბურჯთა ჩრდ-სამხ შვერილების კედლებს შორის) - როგორც 1:12. ე.ი. თუ დოლოჭოპის ბაზილიკაში მოხდა ჭაბუკაურის ოთხკუთხა ბურჯების არასტაბილურობის პრობლემის გადაწყვეტა, ლოგიკურია, რომ ახალ ბაზილიკაში ბურჯის ბირთვები მინიმუმ ისეთივე შეფარდებაში დარჩებოდა სრულ შიდა სიგანესთან, როგორც წინამორბედ ბაზილიკაში, ხოლო ასეთს დაემატებოდა შვერილები ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, რაც ბურჯის სრულ სიგანის შეფარდებას სრულ შიდა სიგანესთან გაცილებით ნაკლებს მოგცემდა (მაგ.1:8). ამდენად ჯვრული ბურჯის გაჩენის პირვანდელი მიზეზი ნაკლებად უნდა იყოს ფორმის სტაბილურობა.

ბოლნისის სიონშიც ჯვრული ბურჯის აღმოსავლეთ დასავლეთი შვერილების სიგანე ისე შეეფარდება სრულ შიდა სიგანეს, როგორც 1:18. აქვე დოლოჭოპის ბაზილიკის სამნავიანი ნაწილის შიდა სიგრძის სიგანესთან შეფარდება დაახლ 1.70 ის ფარგლებშია, ბოლნისის სიონში კი 1.62-ის, რაც ერთმანეთთან ახლოს მდგომი პროპორციებია. ამდენად ბურჯთა ზოგადი გარე გაბარიტული პროპორციები ჭაბუკაურსა და დოლოჭოპში ერთმანეთის მსგავსია,

აგრეთვე გეგმაზე ფუნქციური სათავსების განლაგებისა და ურთიერთკავშირის მხრივ ბოლნისის სიონთან შედარებით დოლოჭოპის ბაზილიკის გეგმა ბევრად ჩამოყალიბებული

და ფუნქციურია, რაც ბოლნისის სიონის შედარებით ადრეულ თარიღზე მიუთითებს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ნ. არონიშიძის დაკვირვებები სრულიად სამართლიანია, რის საფუძველზეც მან დოლოჭოპის ბაზილიკის თარიღად VI საუკუნის შუა წლები განსაზღვრა. თუმცა როგორც შესაბამისი ლიტერატურის განხილვიდან ჩანს ბოლნისის სიონი არ არის ფიქსირებულად 378-393 წლებს შორის დათარიღებული ტაძარი (ასეთი დათარიღება მხოლოდ ერთ-ერთი ვერსიაა), ხოლო დღესდღეობით ყველაზე სანდო მეთოდოლოგიით დოლოჭოპის ბაზილიკა მყარად თარიღდება V ს-ის პირველი ნახევრით.

ამრიგად ბოლნისის სიონისა და დოლოჭოპის ბაზილიკის შედარებითი ანალიზის შედეგები ბოლნისის სიონში ავლენს მთელ რიგ თავისებურებებს რითაც ის დოლოჭოპის ბაზილიკაზე ადრეული უნდა იყოს ე.ი. ბოლნისის სიონში უნდა ვეძიოთ ჯვრულბურჯიანი ბაზილიკის კონცეფციის პირვანდელობის მიზეზები.

რა თქმა უნდა, ჯვრული ბურჯი სტრუქტურის მდგრადობის განმაპირობებელი კონსტრუქციული ელემენტია, რომელსაც ასევე თან ახლავს თაღის ოთხი მხრივ გადაყვანისთვის ფორმის სიმარტივის ბენეფიტი. თუმცა ამ ყველაფერთან ერთად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი თავისებურება: ჯვრული ბურჯის ტექტონიკიდან გამომდინარე ბურჯები ტაძარს ანაწევრებს ცალკეულ უჯრედებად, სამ გრძივ ნავად და ექვს განივ ერთეულად.

გ. ყიფიანის მიერ პირვანდელი გეგმის რეკონსტრუქციის მიხედვით ტაძარს კარი დასავლეთით და უკიდურეს ჩრდილო აღმოსავლეთითაც უნდა ჰქონოდა. ჩრდილოეთით და სამხრეთით ტაძარს თაღნარით გახსნილი გალერეები უნდა ჰქონოდა მთელ სიგრძეზე (სამხრეთ-აღმოსავლეთით ორკამერიანი ბაპტისტერიუმი მე-5 საუკუნის მიწურულს უნდა ჩაეშენებინათ). გეგმის ასეთი რეკონსტრუქციისას თვალნათლივი ხდება შემდეგი: ტაძრის ჩრდილოეთ კედლის სამი, ხოლო სამხრეთის ორი კარი ერთმანეთის პირისპირ და მიმდევრობით არიან გაჭრილი. კარების ასეთი განლაგება ხაზს უსვამს თითოეული განივი ერთეულის მნიშვნელობას. ფაქტობრივად ჩვენ გვაქვს სამნავიანი ბაზილიკა ექვსი ტრანსეპტით (სურ. 7.). ამ თვალსაზრისით ბოლნისის სიონში გვაქვს მრავლობითი სივრცითი ჯვარი და მრავლობითი მოცულობითი ჯვარი (ბურჯი). აქვე უნდა გავიხსენოთ ტაძრის საფასადე შემკულობაში ე.წ. ბოლნური ჯვრის სიმრავლე. ეს ყველაფერი ტაძრის ჯვრის თაყვანისცემისადმი მიძღვნაზე უნდა მეტყველებდეს, რაც აჩენს ლოგიკურ ვარაუდს, რომ ბურჯის ჯვრულ ფორმაში სიმბოლური საფუძველიც უნდა დავინახოთ.

ბოლნისის სიონის გეგმარებითი კონცეფცია რამდენადმე უნივერსალურია, მასში ფორმის სტრუქტურული სტაბილურობა და სიმბოლურობა თანაბარზომიერია. ზემოთგანხილული კი გვაფიქრებინებს, რომ დოლოჭოპის ბაზილიკაში ჯვრული ბურჯები უკვე არსებული ბოლნისის სიონის დარად აგებული ტაძარი უნდა იყოს. ხოლო ქალაქ ნეკრესის მშენებელ ოსტატთა ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ჯვრული ბურჯი გამოიყენეს არა როგორც თაღების საყრდენი, არამედ შეითვისა ხის კოჭების ჩამოსადების ფუნქცია.

სვეტიცხოვლის ბაზილიკაში კონსტრუქციულ „ინოვაციას“ გრძივი კედლებიდან შვერილი ორ მეტრიანი პილონები წარმოადგენენ, რომელთა მიზანია „მსხვრევადობამდე“ ნატიფი (ცინცაძე, 1991) ჯვრული ბურჯების გამყარება. ამ თვალსაზრისით სვეტიცხოველი ჯვრულბურჯიანი ბაზილიკის კონცეფციის აღორძინებაა, სადაც ინტერიერში ჯვრული ბურჯის მხატვრული პოტენციალი მაქსიმალურად იქნა გამოვლენილი.

სვეტიცხოვლის შემდგომ აგებულ ბაზილიკებში, როგორებიცაა ნატკორა, ნუნისი, ნასტაკისი, ზღუდერი, სადაც ბოლნისთან, დოლოჭოპთან და სვეტიცხოველთან შედარებით ბურჯის შეფარდება ნავის შიდა სიგანესთან შემცირდა (ე.ი. ისინი ბევრად დიდ

ფართობს იკავებენ ინტერიერებში) ჯვრული ბურჯის არსებობის პირვანდელი მიზეზი ვეღარ აიხსნება კონსტრუქციული მდგრადობის, სიმარტივის თვალსაზრისით. ასეთი ბურჯები, სვეტიცხოვლის მშენებლობის გამოცდილების შემდეგ, შვერილების გარეშეც თავისთავად მდგრადია. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ შვერილები ამ ბაზილიკებში უმეტესად სივრცის დანაწევრებას, ე.ი. მხატვრული ეფექტის შექმნას ემსახურებიან.

აღსანიშნავია სამთავისის ბურჯები, სადაც ჯვრის ფორმა აგურის კვადრატულ ბურჯების კიდეებში ჩაკვეთის გზითაა მიღებული, ნახევარ მეტრზე მეტი სიმაღლის შემდეგ. ასევე ვაშლობში, სადაც ტაძრის ისედაც მცირე სივრცეში კოშკებივით აღმართულ ბურჯებში დაახლოებით 15 სმ-ის სიღრმეზე კიდეების ჩაკვეთის გზითაა მიღებული ბურჯის ჯვრული ფორმა. ამ შემთხვევაში საქმე წმინდა ფორმალობასთან გვაქვს. შესაძლებელია ვივარაუდოთ ისიც, რომ ჯვრული ბურჯის პოპულარობა განპირობებული იყო სვეტიცხოვლის ბაზილიკაში ასეთი ბურჯების არსებობითაც.

ბოლოს კი ჯვრული და T-სებრი ბურჯების რეგიონალური მიკუთვნების საკითხს უნდა შევეხოთ. T-სებრი ბურჯები გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არა ერთ ბაზილიკაში, მაგალითად: წილკანი, ხევის სიონი, ზედაზენი, ხირსა, ახშანი, ვაზისუბანი, გურჯაანის ყველაწმინდა, ძველი შუამთა, ბოდბე.

ჩვენს ხელთ არსებულ ლიტერატურაში (Strzygowsky, 1918), (Казарян., 2001), (Thierry, 1989), (Якобсон., 1983), (Donabédian P, 2015) განხილული სომხური ადრექრისტიანული ბაზილიკები, რომლებშიც T-სებრი ბურჯები დანამდვილებით დასტურდება, არის კასაღის, აშტარაკის, ეღვარდისა და აღცქის ბაზილიკები. მათი გეგმისა და ინტერიერის ნახვისთანავე ცხადი ხდება ერთი თავისებურება - ოთხივე შემთხვევაში ბაზილიკების გრძივი კედლებიდან გამოშვერილია პილასტრები, რომლებიც ზოგჯერ ემთხვევა ბურჯების განლაგების რიტმს, ზოგჯერ კი - არა. ამათგან კასაღისა და აღცქის ბაზილიკებში შვერილები თაღებით შეერთებულია ბურჯებთან. აშტარაკის (წირანავორი) ბაზილიკის კამარები ამჟამად ჩამოშლილია. ბურჯები გრძივ კედლებს თაღებით უკავშირდებოდა, რომლებიც კედლებიდან ოდნავ შვერილ კრონშტეინებზე ეყრდნობოდნენ. მიუხედავად ამისა, გრძივ კედლებს მაინც ჰქონდათ შვერილები, რომლებიც ბურჯებს არ უკავშირდებოდნენ.

ქართულ ბაზილიკებში ბურჯების შესატყვისი შვერილები არ გვხვდება კახეთის არცერთ, მათ შორის T-სებრ ბურჯიან, ბაზილიკაში. ზოგადად ქართულ ბაზილიკებშიც შვერილები გვხვდება მხოლოდ ბოლნისის სიონში, სვეტიცხოველში, ნუნისში, უფლისციხეში, ვაშლობსა და ურბნისში.

ე.ი. სომხეთის ძეგლების უმეტესობაში ბურჯს შვერილი აქვს მხოლოდ შუა ნავისკენ, ხოლო მისი სტრუქტურული მდგრადობისთვის კედლიდან აქვს შესატყვისი პილასტრი. ქართულ ბაზილიკებში კი განსხვავებული მიდგომაა - T-სებრ ბურჯებს შესატყვისი საერთოდ არ აქვთ, თუმცა ასეთი ბაზილიკების გვერდითი ნავები საკმაოდ ვიწროა. შედარებით განიერი გვერდითი ნავები აქვს ჯვრულბურჯიან ბაზილიკებს. ამიტომაც სტრუქტურულ მდგრადობას ბურჯისთვის გვერდითი ნავისკენ შვერილის დამატება განაპირობებს და არა კედლიდან შესატყვისი პილასტრები. ეს მონაცემები მართლაც უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ საქართველოში ჯვრული ბურჯის გამოყენებას ამჯობინებდნენ, ხოლო სომხეთში T-სებრს. ამრიგად, საქართველოს და სომხეთის T-სებრ ბურჯიან ბაზილიკებში შეინიშნება იდენტური კონსტრუქციული ელემენტის გამოყენების ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული მიდგომები. მიზეზები კი შესაძლოა იყოს გარკვეული ლიტურგიკული პრაქტიკა და ტაძრების გეგმის გააზრების სხვადასხვა მეთოდები, ამის შესახებ იხ: სხვიტარიძე, ძიძიგური 2025.

დასკვნები / Conclusions

ჯვრული ბურჯები ყველაზე მეტად დამახასიათებელი თავისებურებაა ადრექრისტიანული აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი ქართლის ბაზილიკებისთვის.

დოლოჭოპის და ბოლნისის სიონის შედარებითი ანალიზი კონცეფციის პირვანდელობას კვლავ ბოლნისის სიონში გვაფიქრებინებს. ხოლო მეორეს მხრივ კიდევ დამატებით არგუმენტაციას აძლევს არსებულ ლიტერატურულ და უახლეს წყაროებში გამოთქმულ არგუმენტირებულ მოსაზრებას ბოლნისის სიონის V საუკუნის დამდეგით (ან შესაძლოა ოდნავ ადრეული პერიოდითაც) დათარიღების შესახებ.

ჯვრულბურჯიანი ბაზილიკის კონცეფციის პირვანდელობა ყველაზე მეტად შეინიშნება ბოლნისის სიონში.

საქართველოს და სომხეთის T-სებრ ბურჯიან ბაზილიკებში შეინიშნება მსგავსი კონსტრუქციული სისტემების გამოყენების სხვადასხვა მიდგომები;

ახალი აღმოჩენების მიუხედავად, ფ.ვ. დაიხმანის ძირითადი მოსაზრებები არსებითად სწორია, თუმცა საჭიროებს ქრონოლოგიური და რეგიონული სპეციფიკის კორექტირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ამირანაშვილი, შ. (1958). ბოლნისის ტაძრის აგების თარიღის დაზუსტებისთვის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები N4.

არონიშიძე, ნ. (2015). ვაჩნაძიანის მონასტრის ძველი ტაძრის დათარიღებისათვის. საქართველოს სიძველენი N18.

არონიშიძე, ნ. (2017). დურუჯისპირა ბაზილიკის კომპოზიციის რაობისთვის. საქართველოს სიძველენი N20, 61-97.

ბახტაძე ნ., მ. ვ. (2020). ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძრები. თბილისი.

ბოხოჩაძე, ა. (1983). ნასტაკისის ველზე გათხრილი ადრექრისტიანული ხანის ეკლესია. ძეგლის მეგობარი N63, გვ. 42-48.

გაგნიძე, ვ. (2005). ნატკორას ხუროთმოძღვრული ძეგლი. საქართველოს სიძველენი 7-8, გვ. 389-403.

გაგოშიძე, გ. (2009). სამთავისის კომპლექსური ექსპედიციის 2009 წლის სამეცნიერო ანგარიში. თბილისი.

გვერდწითელი, რ. (2017). შრომები I. თბილისი.

დანელია კ., ს. ზ. (1997). ქართული პალეოგრაფია. თბილისი.

დიღმელაშვილი ქ., ლ. გ. (2025). ვაშლობის ბაზილიკა (არქეოლოგიური გათხრებით მიღებული მონაცემების მიხედვით). საქართველოს სიძველენი, გვ. 9-32.

ზაქარაია, პ. (1965). ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება. თბილისი.

კაკაბაძე, ს. (1984). ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერა. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია N3, 90-99.

კაკაბაძე, ს. (1985). ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ. მნათობი N5, 149-154.

კეკელიძე, კ. (1968). ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან VI ს.

მაჭავარიანი, ე. (1985). ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა. თბილისი.

მეფისაშვილი, რ. (2013). საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სამნავიანი ბაზილიკა. საქართველოს სიძველენი N16.

მუსხელიშვილი, ლ. (1938). ბოლნისი. ენიმკის მოამბე #3, გვ. 311-382.

მჭედლიშვილი, ბ. (1984). ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია N3, 100-114.
ნუცუბიძე, პ. (1987). ზღუდერი დიდი ეკლესია. ძეგლის მეგობარი N2, გვ. 20-23.
პატარიძე, რ. (1984). ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები. მნათობი N1.
რესპუბლიკური სარედაქციო საგამომცემლო სამეცნიერო საბჭო. (1990). საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა : წიგნი V. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა.
რჩეულიშვილი, ლ. (1943). ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი . ქართული ხელოვნება ტ.II.
სანიკიძე, თ. (1987). უფლისციხე. თბილისი.
საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა II. (2008). თბილისი.
სილოგავა, ვ. (1994). ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები. თბილისი.
ყიფიანი, გ. (1990). უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა. თბილისი: პრეპრინტი.
ყიფიანი, გ. (2000). კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბილისი.
ყიფიანი, გ. (2009). მეფე მირიანის ბაზილიკა. ბიზანტინოლოგია საქართველოში 2, 733-789.
ყიფიანი, გ. (2022). ბოლნისის სიონი (ტაძრის ადრეული სამშენებლო ფენები და მისი უძველესი წარწერები). თბილისი.
შანიძე, ა. (1975). ბოლნისის წარწერები. თბილისი: "ნობათი" 1.
ჩუბინაშვილი, გ. (1936). ქართული ხელოვნების ისტორია ტომი I. ტფილისი.
ჩხიკვაძე, მ. (1981). ბოლნისის ტაძრის აგების დათარიღებისათვის. არქიტექტურა და მშენებლობა, თბილისი.
ხახუტაიშვილი, დ. (1989). უფლისციხე - ქალაქი კლდეში. თბილისი.
ჯაბუა, ნ. (2009). სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში. თბილისი.
Butler, H. C. (1929). Early Churches in Syria. PUBLISHED FOR THE DEPARTMENT OF ART AND ARCHAEOLOGY OF PRINCETON UNIVERSITY.
Deichmann., F. (1978). Zur Entwicklung der Pfeilerbasilica: Die Basilica Sion Von Bolnisi. Bedi Kartlisa XXXVI, 316-324.
Deichmann., F. (1982). Rom, Ravenna, Konstantinopel, Naher Osten : gesammelte Studien zur spätantiken Architektur, Kunst und Geschichte. Weisbaden.
Donabédian P, H. H.-V. (2015). Fouilles et investigations à Ereruyk 2015. Laboratoire d'Archéologie Médiévale et Moderne en Méditerranée;Aix Marseille Université; Cnrs.
Fähnrich, H. (2009). Zur Zeitangabe in der Bauinschrift der Sioni-Kirche von Bolnisi. H. Fähnrich-ში, Georgica 32 (გვ. 21-32).
Gazgazi, V. (2016). Early Christian Church Architecture at the Thracian Coast of Bulgaria of the Black Sea Region, A thesis submitted for the degree of Master of Arts (MA) Black Sea Cultural Studies. Thessaloniki-Greece.
Gippert, J. (2011). Nochmals zur Bauinschrift von Bolnisi. Kaukasiologie heute. Festschrift für Heinz Fähnrich zum 70. Geburtstag, 155-182.
Giviashvili, I. (2020). Grand Basilicas of Otkhta Eklesia and Parkhali Monasteries: Stages of Construction. Bulettin of Georgian national academy of sciences Vol.14 No.2.
Gunnis R. (1936). Historic Cyprus. A guide to its towns & villages, monasteries & castles. London.
Hoddinott R.F. (1975). Bulgaria in Antiquity, An Archaeological Introduction. London and Tonbridge.
Hoddinott, R. F. (1963). Early Byzantine churches in Macedonia and southern Serbia. London: Palgrave Macmillan.
Krautheimer, R. (1965). Early Christian and Byzantine architecture. Baltimore.

Leeming, E. L. (2018). The Evidence Written in Stone: An Evaluation of the Relationship (or Not) of Syrian and Georgian Ecclesiastical Architecture. E. L. Leeming-ში, Architecture and Asceticism: Cultural interaction between Syria and Georgia in Late Antiquity (გვ. 103-129). Brill.

Papacostas T.C. (1995). Medieval Byzantine urban churches in Cyprus. Oxford: University of Oxford.

Sarre., F. H. (1920). ARCHÄOLOGISCHE REISE IM EUPHRAT- UND TIGRIS-GEBIET BAND II. Berlin: VERLAG VON DIETRICH REIMER/ERNST VOHSEN/A.-G.

Skhvitaridze A., Dzidziguri M. (2025). Basilicas with T-shaped piers, Georgian Technical University, collection of scientific works, N3.

Strzygowsky, J. (1918). Die Baukunst Der Armenier Und Europa Band 1.

Thierry, J.-M. (1989). Armenian Art. New York: Prelacy of the Armenian Apostolic Church of America.

Σωτηρίου Γ.Α. (1931). "Τὰ παλαιοχριστιανικὰ καὶ βυζαντινὰ μνημεῖα τῆς Κύπρου". Πρακτικὰ τῆς Ἀκαδημίας Ἀθηνῶν (გვ. 477-90).-ში

Гагошидзе, Ю. (1983). Дохристианские храмы Грузии. Тбилиси.

Дейхман, Ф. (1977). Оразвитии базилик со столбами: базилика болнисский Сион. II международный симпозиум по груз.искусству. Тбилиси: Мецниереба.

Казарян., А. (2001). Архитектура Армении IV–VI веков и особенности раннехристианской традиции в соседних странах. Византийский временник, 60 (85), 126-158.

Химшиашвили, К. (1988). Зодчество Уплисцихе античного периода. Тбилиси.

Цинцадзе, В. (1991). Некоторые особенности базилик раннехристианской Грузии и архитектура базилики V века Свети-Цховели в Мцхета. Ars Georgica, 10-А.

Чубинашвили, Г. (1940). Болнисский Сион, Исследование по истории грузинской архитектуры. Известия ГАИМК, т.9.

Чубинашвили, Г. (1959). Архитектура Кахетии. Тбилиси.

Якобсон., А. Л. (1983). Закономерности в развитии раннесредневековой архитектуры. Ленинград: Академия наук СССР.

REFERENCES

amiranashvili, sh. (1958). bolnisis t'adzris agebis tarighis dazust'ebistvis. sakartvelos p'olit'eknik'uri inst'it'ut'is shromebi N4. [To clarify the date of construction of the Bolnisi Cathedral].

aronishidze, n. (2015). vachnadzianis monast'ris dzveli t'adzris datarighebisatvis. sakartvelos sidzveleni N18. [For dating the old temple of Vachnadziani Monastery].

aronishidze, n. (2017). durujisp'ira bazilik'is k'omp'ozitsiis raobistvis. sakartvelos sidzveleni N20, 61-97. [For the composition of the Basilica of Durujispira].

bakht'adze n., m. v. (2020). nakalakar nek'resis udzvelesi krist'ianuli t'adzrebi. tbilisi. [Ancient Christian temples of the city of Nekresi].

bokhochadze, a. (1983). nast'ak'isis velze gatkhrili adrekrist'ianuli khanis ek'lesia. dzeglis megobari N63, gv. 42-48. [Early Christian church excavated in the Nastakis Valley].

Butler, H. C. (1929). Early Churches in Syria. PUBLISHED FOR THE DEPARTMENT OF ART AND ARCHAEOLOGY OF PRINCETON UNIVERSITY.

chkhik'vadze, m. (1981). bolnisis t'adzris agebis datarighebisatvis. arkit'ekt'ura da mshenebloba, tbilisi. [To date the construction of the Bolnisi Cathedral].

chubinashvili, g. (1936). kartuli khelovnebis ist'oria t'omi I. t'pilisi. [History of Georgian Architecture, Volume I].

Chubinashvili, G. (1940). Bolnisskij Sion, Issledovanie po istorii gruzinskoj arhitektury. Izvestija GAIMK, t.9. [Bolnisi Zion, Research on the History of Georgian Architecture].

Chubinashvili, G. (1959). Arhitektura Kahetii. Tbilisi. [Architecture of Kakheti].

Cincadze, V. (1991). Nekotorye osobennosti bazilik rannehristianskoj Gruzii i arhitektura baziliki V veka Sveti-Choveli v Mcheta. Ars Georgica, 10-A. [Some features of the basilicas of early Christian Georgia and the architecture of the basilica of the Svetitskhoveli of 5th century].

danelia k'., s. z. (1997). kartuli p'aleograpia. tbilisi. [Georgian paleography].

Dechmann, F. (1977). Orazvitii bazilik so stolbami: bazilika bolnisskij Sion. II mezhdunarodnyj simpozium po gruz.iskusstvu. Tbilisi: Mecniereba.

Deichmann., F. (1978). Zur Entwicklung der Pfeilerbasilica: Die Basilica Sion Von Bolnisi. Bedi Kartlisa XXXVI, 316-324.

Deichmann., F. (1982). Rom, Ravenna, Konstantinopel, Naher Osten : gesammelte Studien zur spätantiken Architektur, Kunst und Geschichte. Weisbaden.

dighmelashvili k., l. g. (2025). vashlobis bazilik'a (arkeologiuri gatkhrebit mighebuli monatsemebis mikhedvit). sakartvelos sidzveleni, gv. 9-32. [Basilica of Vashlobi].

Donabédian P, H. H.-V. (2015). Fouilles et investigations à Ereruyk 2015. Laboratoire d'Archéologie Médiévale et Moderne en Méditerranée;Aix Marseille Université; Cnrs.

Fähnrich, H. (2009). Zur Zeitangabe in der Bauinschrift der Sioni-Kirche von Bolnisi. H. Fähnrich-ში, Georgica 32 (გვ. 21-32).

gagnidze, v. (2005). nat'k'oras khurotmodzghvruli dzegli. sakartvelos sidzveleni 7-8, gv. 389-403. [Natkora Architectural Monument].

gagoshidze, g. (2009). samtavisis k'omp'leksuri eksp'editsiis 2009 ts'lis sametsniero angarishi. tbilisi. [Scientific Report of the Samtavisi Complex Expedition 2009].

Gazgazi, V. (2016). Early Christian Church Architecture at the Thracian Coast of Bulgaria of the Black Sea Region, A thesis submitted for the degree of Master of Arts (MA) Black Sea Cultural Studies. Thessaloniki-Greece.

Gippert, J. (2011). Nochmals zur Bauinschrift von Bolnisi. Kaukasiologie heute. Festschrift für Heinz Fähnrich zum 70. Geburtstag, 155-182.

Giviashvili, I. (2020). Grand Basilicas of Otkhta Eklesia and Parkhali Monasteries: Stages of Construction. Bulettin of Georgian national academy of sciences Vol.14 No.2.

Gunnis R. (1936). Historic Cyprus. A guide to its towns & villages, monasteries & castles. London.

gverdts'iteli, r. (2017). shromebi I. tbilisi.

Himshiashvili, K. (1988). Zodchestvo Upliscihe antichnogo perioda. Tbilisi.

Hoddinott R.F. (1975). Bulgaria in Antiquity, An Archaeological Introduction. London and Tonbridge.

Hoddinott, R. F. (1963). Early Byzantine churches in Macedonia and southern Serbia. London: Palgrave Macmillan.

jabua, n. (2009). samnaviani bazilik'is arkit'ekt'uruli t'ip'i sakartveloshi. tbilisi. [Architectural type of three-nave basilica in Georgia].

Jakobson., A. L. (1983). Zakonomernosti v razvitii rannesrednevekovoj arhitektury. Leningrad: Akademija nauk SSSR.

k'ak'abadze, s. (1984). bolnisis sionis saaghmsheneblo ts'arts'era. matsne, ist'oriis, arkeologiis, etnograpiis da khelovnebis ist'oriis seria N3, 90-99. [The construction inscription of Bolnisi Sioni].

k'ak'abadze, s. (1985). bolnisis t'adzris ts'arts'erebis shesakheb. mnatobi N5, 149-154. [About the inscriptions of Bolnisi Cathedral].

Kazarjan., A. (2001). Arhitektura Armenii IV–VI vekov i osobennosti rannehristianskoj tradicii v sosednih stranah. Vizantijskij vremennik, 60 (85), 126-158.

k'ek'elidze, k'. (1968). bolnisis t'adzris ts'arts'erebis int'erp'ret'atsiisatvis. et'iudebi dzveli kartuli lit'erat'uris ist'oriidan VI s. [For the interpretation of the inscriptions of the Bolnisi Cathedral].

khakhut'aishvili, d. (1989). uplistsikhe - kalaki k'ldeshi. tbilisi. [Uplistsikhe - a city in a rock]

Krautheimer, R. (1965). Early Christian and Byzantine architecture. Baltimore.

Leeming, E. L. (2018). The Evidence Written in Stone: An Evaluation of the Relationship (or Not) of Syrian and Georgian Ecclesiastical Architecture. E. L. Leeming-ში, Architecture and Asceticism: Cultural interaction between Syria and Georgia in Late Antiquity (გვ. 103-129). Brill.

mach'avariani, e. (1985). bolnisis sionis samsheneblo ts'arts'era. tbilisi. [Construction inscription of Bolnisi Sioni]

mch'edlishvili, b. (1984). bolnisis sionis datarighebisatvis. matsne, ist'oriis, arkeologiis, etnograpiis da khelovnebis ist'oriis seria N3, 100-114. [For the dating of Bolnisi Sioni].

mepisashvili, r. (2013). sakartvelos ert-erti udzvelesi samnaviani bazilik'a. sakartvelos sidzveleni N16. [One of the oldest three-nave basilicas in Georgia].

muskhelishvili, l. (1938). bolnisi. enimk'is moambe #3, gv. 311-382.

nutsubidze, p'. (1987). zghuderi didi ek'lesia. dzeglis megobari N2, gv. 20-23. [Big church of Zghuderi].

Papacostas T.C. (1995). Medieval Byzantine urban churches in Cyprus. Oxford: University of Oxford.

p'at'aridze, r. (1984). bolnisis t'adzris samsheneblo ts'arts'erebi. mnatobi N1. [Construction inscriptions of the Bolnisi Cathedral].

qipiani, g. (1990). uplistsikhis k'ldovani bazilik'a. tbilisi: p'rep'rint'i. [Rock hewn basilica of Uplistikhe].

qipiani, g. (2000). k'olkhetisa da iberiis ts'armartuli t'adzrebi da kartuli krist'ianuli khurotmodzghvrebis ts'armoshobis sak'itkhebi. tbilisi.

qipiani, g. (2009). mepe mirianis bazilik'a. bizant'inologia sakartveloshi 2, 733-789. [Basilica of king Mirian].

qipiani, g. (2022). bolnisis sioni (t'adzris adreuli samsheneblo penebi da misi udzvelesi ts'arts'erebi). tbilisi.

rcheulishvili, l. (1943). kartuli khurotmodzghvrebis sami utsnobi dzegli . kartuli khelovneba t'.II. [Three uknow monuments of Georgian architecture].

resp'ublik'uri saredaktsio sagamomtsemlo sametsniero sabch'o. (1990). sakartvelos ist'oriisa da k'ult'uris dzeglta aghts'eriloba : ts'igni V. tbilisi: ilia ch'avch'avadzis sakhelobis ts'ignis pabrik'a.

sakartvelos ist'oriisa da k'ult'uris dzeglta aghts'eriloba II. (2008). tbilisi.

sanik'idze, t. (1987). uplistsikhe. tbilisi.

Sarre., F. H. (1920). ARCHÄOLOGISCHE REISE IM EUPHRAT- UND TIGRIS-GEBIET BAND II. Berlin: VERLAG VON DIETRICH REIMER/ERNST VOHSEN/A.-G.

shanidze, a. (1975). bolnisis ts'arts'erebi. tbilisi: "nobati" 1. [Inscriptions of Bolnisi].

silogava, v. (1994). bolnisis udzvelesi kartuli ts'arts'erebi. tbilisi. [Ancient Georgian inscriptions of Bolnisi].

Skhvitaridze A., Dzidziguri M. (2025). Basilicas with T-shaped piers, Georgian Technical University, collection of scientific works, N3.

Strzygowsky, J. (1918). Die Baukunst Der Armenier Und Europa Band 1.

Thierry, J.-M. (1989). Armenian Art. New York: Prelacy of the Armenian Apostolic Church of America.

zakaraia, p'. (1965). nakalakar urbnisis khurotmodzghvreba. tbilisi. [Architecture of former city of Urbnisi].

Σωτηρίου Γ.Α. (1931). "Τὰ παλαιοχριστιανικὰ καὶ βυζαντινὰ μνημεῖα τῆς Κύπρου". Πρακτικὰ τῆς Ἀκαδημίας Ἀθηνῶν (გვ. 477-90).

ილუსტრაციები



სურ. 1. ჯვრულბურჯიანი ბაზილიკების ლოკაციები საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული Google-ის რუკაზე



სურ. 2. ბაზილიკების ქრონოლოგიური ზღვრები შესაბამის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით. აქედან ბოლნისის სიონის, დოლოჭოპისა და სვეტიცხოვლის შემთხვევაში შავი ლაქა კონცენტრირებულია იქ სადაც შესაბამისი მეთოდებისა და კვლევების საფუძველზე მეტი დამაჯერებლობა არსებობს მშენებლობის თარიღის მიკუთვნებისთვის





3.1. ბოლნისის სიონის გეგმა (ა. სხვიტარიძე)



3.2. დოლოჭოპის ბაზილიკის გეგმა (ნ. ბახტაძის მიხედვით)





3.3. ურბნისის სიონის გეგმა (ა. სხვიტარიძე)



3.4. სვეტიცხოვლის ბაზილიკის გეგმა (ვ. ცინცაძის მიხედვით)



3.5. ნატკორას ბაზილიკის გეგმა (ა. სხვიტარიძე)



3.6. ნასტაკისის ბაზილიკის გეგმა (ა. სხვიტარიძე)



3.7. ნუნისის ბაზილიკის გეგმა (რ. გვერდწითელის მიხედვით)



3.8. სამთავისის ბაზილიკის გეგმა (თ. გაბუნია, გ. სოსანიძე)



3.9. ზღუდერის ბაზილიკის გეგმა (პ. ნუცუბიძის მიხედვით)

3.10. უფლისციხის ბაზილიკის გეგმა (გ. ყიფიანის მიხედვით)

3.11. ზემო ალვანის ბაზილიკის გეგმა (ა. სხვიტარიძე)



3.12. პანტიანის ჯვარიპატიოსნის ბაზილიკის გეგმა (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტომი V. თბილისი, 1990.)



3.13. რკონის ბაზილიკის გეგმა (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტომი V. თბილისი, 1990.)



3.13. ვაშლობის ბაზილიკის გეგმა (ა. სხვიტარიძე)

სურ. 4. ვაზისუბნის ბაზილიკა

სურ. 5. ვაჩნაძიანის ბაზილიკა



სურ. 6. ურბნისის სიონის თაღნარი, პ. ზაქარაიას მიხედვით



სურ. 7. ბოლნისის სიონი, მრავლობითი ჯვარი და განივი ერთეულების ხაზგასმა შესასვლელთა განლაგების მიხედვით გ.ყიფიანის მიერ რეკონსტრუირებულ პირვანდელ გეგმაზე